 ხან ჰყვება ლალის კრეფასა.

ხან ტბის პირს გაინავარდებს,
 მოჰყევება ტურფად სრბოლასა,
 თეთრ გედის ფრთებით დაჰქროლავს,
 ყველის სოხოვს ტემობა-თრობასა.
 შიის ნატებ სხივის წინდიჩრით
 ფრთებს იქსოვს ათას ფერადა,
 მგზნებარე ლიევარდს დაჰქსელავს,
 ლირს საღმრთო კერის ცქერადა.
 ტბის პირად საქანელადა
 დაიღიამს ცისარტყელასა,
 შეჯდება, გამოქანდება,
 კისკისით იწვევს ყველასა.
 გარს სირინოზნი რიგ-რიგად
 ფარშევანგთ ფრთებით დაჰტრენენ,
 აქანავებენ და თანაც
 სიზმრის ბადეში გაპხვევენ.
 ტბის სარკით მისსა სახესა
 უცნაურ სახეს უკრობენ,
 დამთერალსა, გაბრუებულსა
 დიად მომავალს უთხრობენ:
 „ნანინა, ნანი, ნანაო,
 შეეთ უნახვო ქალოო,
 სათნოებისა გიდელავ,
 ცის სარტყელის ზურმუხტ-ლალოო!
 ყური მიუგდე სირინოზს,
 რას გიმღერს წყნარი ხმითაო?
 პხედავ, შეედარი გამოჰქის
 სადღაც, უცნაურ მხრითაო.
 ისაა შენი საბედო,
 ხვალ წარგიტაცებს თანაო,
 იძინე მეფის ასულო,
 ნანინა, ნანი, ნანაო“!


გაბრუებული მულიც
უმშერს უცხო ყრმის აჩრდილსა,
ლიმილი თავზე აფარებს
ზმანებით ნიჭილვს მანდილსა.


XX

ბეღნიერია მეტის ძე
სატრუო ჰყავს ცისა შვენება,
ქმნილება უზენაესი,
ვით ქვეყნიური ჩვენება,
მაგრამ სად ნახოს, ან როგორ
ხელს მისუმშ, ჩაეკონება,
როს საჭვრეტელად მის ლანდსა
არ სწვდება მისი გონება!
წალკოტის კარსა სდარიჯობს
მზარავი დედა-ბერია,
ჩვენს მგზავრებს ჯერ არ უნახავთ
მგზავსი რამ აჩაფერია.
უჩინმაჩინის ქუდითა
ხანა ჩინდებოდა, ჰქრებოდა,
ხან ვეშაპს ემგზავსებოდა,
ხანაც მხედრადა დგებოდა.
უსახურს, ხანაც სახიანს
წელთ ეკრა ჯადო ქსელია,
სახე გამშრალსა ფრჩალები
ჰქონდა სისხლითა სველია.
შმაგი კივილით ცას სძრავდა,
უმორგვეო თვალზე ჯდებოდა,
ცის კიდეს, ტყე-ლრეს ლახავდა,
ხანაც ლრუბლიადა ჩინდებოდა.
მდინარეს აღმა შესძრავდა,

ცას აწვიმებდა სისხლითა,
 ცეცხლს აუშვებდა, ვარსკვლავებს
 შევად მოსავედა ნისლითა.
 მრუდე ეშვებით ამსხვრევდა
 ასწლოვან მუხის ღეროსა,
 კატით მთებს გადალახავდა,
 ზურგს აჯდებოდა წეროსა.
 ფრინავდა ჩრდილის სინუმით,
 წამწმად ისხამდა ბუმბულსა,
 ხანა კნაოდა, წამს უკან
 ემზადებოდა ბულბულსა.
 უპნაურ გრგვინვა-ჭუბილით
 მთეარეს პირს შეულებავდა,
 კუნესით ვარსკვლავებს ჰკოდავდა,
 მათ სისხლით ნიავს ჰკებავდა.
 თვალები ღველფად დაენთო,
 ძირს ნაპერწელები სცვივოდა,
 მიწას გაშხეოქდა, ცეცხლის გულს
 ყინულზე მურიავს სციოდა.
 ვაი შეს, ვისაც დასცხებდა,
 ვერ აღირსებდით შველასა,
 ცად ფრინველს ველარ გაევლო,
 ძირს კიდევ ჭიანჭველასა.
 მაგრამ შეხედეთ, ვეზირი
 თარს ჩამოილებს მხრიდანა,
 დაუკრავს, ჯადო დედაბერს
 ძირს ჩამოილებს ცილანა.
 უმაღ ძილს მოჰვერის, თვითონ კი
 შევა წალკოტის კარითა,
 და წყაროს პირსა თავს ირთობს
 სიმღერა, თარის დაკვრითა.


დ. კახნაძე.
(შემდეგი იქნება).





აკინოსუბქეს სიზმარი.

(იაპონური ზღაპარი)



როვინცია იამატოში, ტოიჩში
ცხოვრობდა გოში *), სახელად მი-
იატა აკინოსუბქე.

აკინოსუბქეს ბალში იყო უზარ-
მაზარი ჭანდარი, რომლის ჩრდილ-
ში უყვარდა მცხუნვარე დღის გა-
ტარება აკინოსუბქეს. ერთხელ ნასაღილებს აკინოსუბქე ორი მე-
გომარი გოშით იჯდა ჭანდარის ქვეშ და ლეინოს შეექცეოდა.
ცხელობდა. უცებ აკინოსუბქეს იმდენად მოერთა ძილი, რომ ვე-
ღია მოითმინა და მეგომრებს სთხოვა ნება მიეკათ მისოფის
ცოტათი მიეძინა. მიწვა ჭანდარის ძირში, მაშინვე ჩაიძინა და
უცნაური სიზმარი ნახა.

თითქოს წევს ბალში და ხედავს, რომ მახლობელ მორ-
ცეიდან ჩიმოდიან მორთული ქვეშეერდომები მძლავრი დაიმი-
სისია. ის წამოდგა, რომ უკეთ დიენახა, რაში იყო საქმე. ასე-
თი სიმდიდრე და მორთულობა მის ჯერ არ ენახა. ჯვუფი
მოეძართებოდა აკინოსუბქეს სახლისაკენ, წინ მოუძღვნდა რამ-

*) გოში—იაპონიაში ნიშნებს თავისუფალ მემამულე-მეომარს.



დენიმე მდიდრულად მორთული ვაჟაპი, რომელთაც შესაბეჭდება
დათ სასახლის ეტლით „გოშოგურუში“, ბრძევიალა ლაქით
შეღებილი და კვითელი აბრეშუმით შემცული. ამაღა მოუახ-
ლოვდა სახლს და შეჩერდა. საუცხოო ტანისამოსით მოსილი
კაცი, — აღმაღ წარჩინებული პირი, — მიუახლოვდა აკინოსუკეს,
შძმედ თავი დაუკრა და უთხრა:

— უბრწყინვალესო, თქვენ წინაშე სდგის ტოკოოს კო-
კუს (უცნობი მეფის) ვასსალი. მეფემ, ჩემთა ბატონშა, მიძა-
ნა მოგესალმოთ მისი სახელით და გაახლოთ ჩემი თავი სრულს
თქვენ განკარგულებაში. კიდევ უნდა მოგეხსენოთ, რომ მათ
უდიდებულესებას სურს თქვენ გიხილოთ საკუთარ სასახლეში.
კეთილ ინებეთ და ჩაბრძანდით ბატონისაგან მოძღვნილ ეტლში.

აკინოსუკეს სურდა გაასუხნა, როგორც ამას მოითხოვდა
წესი და ჩვეულება, მიგრამ ისე იყო განცენტრებული, რომ ხმა
ველია ამოიღო. ამასთანავე გრძნობდა, რომ საკუთარი ნების-
ყოფა სრულიად დაჰკარგა და სავსებით ემორჩილებოდა გამო-
გზავნილ კერაის. *) ჩაჯდა ეტლში, გვერდში მოუჯდა კერი. მეეტლები სწვლნენ აბრეშუმის აღვირებს, მოატრიალეს და გა-
აქანეს სამხრეთისაკენ.

აუწერელმა განცენტრებამ შეიპყრო აკინოსუკე, როდესაც
ეტლი სულ მცირე ხანში გაჩერდა ჩინურ გემოვნებაშე იგებულ
აღაყაფის კარებთან (აკინოსუკეს ეს კარები ჯერ არ ენახა). კერაი ჩიმოხტა.

— მე მოგახსენებ თქვენს უმაღლესად მობრძანებას, — სოჭა
მან და სასახლეში შევიდა.

მაღვე ჰისკარში გამოჩნდა ორი წილიად მოსილი კაცი.
მათ ნიშნად წარჩინებისა ესურათ წვეტიანი ქუდები. პატივის-
ცემით დაუკრეს თავი, ეტლიდან ჩამოსველა უშველეს დაუზარ-
მაზარი ბალით წაიყვანეს სასახლისაკენ. სასახლე კი დიდ გან-
ძლიერ იყო გაჭიმული აღმოსავლეთით და დასავლეთით. აკი-
ნოსუკე შეიყვანეს დარბაზში, რომელიც საოცარი იყო სიდი-

*) თავადი.

დითა და მდიდრული მორთულობით. შელებლებმა დასცენი ის საპატიო აღგილს და თვითონ მოშორებით დასხდნენ. ოქრო-ვერცხლით მორთულმა მოახლეებმა მოართეს ხილი, ტუბილულობა და სასმელები. როდესაც აკინოსეუებმ მოიკეთა შიშმილი და წყურვილი, წითლად მოსილმა წარჩინებულმა კარისკაცებმა მდაბლად თავი დაუკრეს და, თანახმად ჩვეულებისა, თვითეული მათვანი რიგ-რიგად მმობდა თითო ფრაზას.

— ჩვენი საპატიო მოვალეობაა გაუწყოთ... რა განზრახვით მოვიწვია თქვენ ჩვენმა ბრძანებელმა.. ჩვენმა ბატონშა ჩეუებ ავირჩია თქვენ სიძედ... მისი ბრძანებით თქვენ ახლავე დაგწერენ ჯვარს... მის ასულზე, უბწყინვალეს ბატონიშვილზე... ჩვენ წაგიცვანთ მთავარ დარბაზში... იქ გიცდით დიდებული მეფე... მაგრამ ჯერ კეთილ ინებეთ და შეიმოსეთ... სათანადო სადარბაზო სამოსელით... (უკანასკნელი წინადაღება სისახლის წესით ორივე კარისკაცმა ერთად წარმოსთქვეს).

როცა წარჩინებულებმა სიტყვა გაათავეს, გააღეს ოქროთ მოვარაყებული სკივრი, რომელიც წილოში იდგა, ამოიღეს ძვირფასი სამოსელ-სამკაულები, ქამრები და მეფეური თავსახურავი კამური. როდესაც აკინოსეუებ მორთეს ისე, როგორც ეს ეკადრებოდა მეფის სასიძოს, შეიცვანეს მთავარ დარბაზში, საცა ამაღლით გარშემორტყმული, შევი მაღალი ქუდითა და ყეითელი სამოსელით მორთული იჯდა ტახტზე ტოკოიოს ქვეყნის კუკურა ამაღლა იდგა უძრივად, როგორც საუცხოო ქანდაკება ეკლესიაში. აკინოსეუებ მიუხსლებდა მეფეს და ჩვეულებისამებრ სამჯერ დაეცა მის წინაშე მუხლებზე. მეფემ მოწყალედ უპასუხა სალაშხე და უთხრა:

— თქვენ უკავე გაუწყეს, რა განზრახვეთ მოვიწვიეთ? ავირჩიეთ ჩვენი ერთად ერთი ასულის საქრმოდ. ქორწინება ახლავე უნდა მოხდეს.

მეფე განუმდა. გაისმა საკრიავთა საუცხოო ხმა, ფარდა გაიწია, გამოეკიდნენ მწერივად შშვენიერი ქალები და წაიყვანეს აკინოსეუებ საცოლოსთან. უზარმაზარი დარბაზი ძლივს იტევ-



და სტუმრებს, რომლებიც შეგროვილიყვნენ ქორწილებულ მეცნიერებების სასწრებლად. როდესაც აკინოსუკე დაჯდა საცოლოს პირდაპირ მომზადებულ ბალიშზე, ყველამ მდაბლად თავი დაუკრა. საცოლო სამოთხის ასულად ეჩვენა, მისი მორთულება—კი ზაფხულის ცასავით შვერნივრად. საერთო მხიარულებით დასრულდა საქორწინო ზემო.

რამდენიმე დღის შემდეგ აკინოსუკე ისევ მიიწვიეს მეფის დაბაზში. მეფემ კიდევ უფრო მოწყალედ მიიღო.

— ჩვენი სახელმწიფოს სამართლებით არის კუნძული რაიშვ, გნიშნავ იმის გამგედ. ხალხი ერთგული იქნება შენი. რაიშვს კანონები ტუკიის კანონებისაგან განსხვავდება. ჩვენ განდობთ იქაური კანონების გაუმჯობესებას და გვსურს, განივებდე იმ ქვეყანას სამართლიანად და გონივრულად. გასამგზავრებლად ყველაფერი უკვე მჩვდ არის.

კუნძულზე აკინოსუკე შეუდგა ახალი მოვალეობის შესრულებას, რომელიც არც ისე მძიმედ ეჩვენა მას. პირველი სამი წელიწადი ის უმთავრესად კანონების დაწესება-გავრცელებას მოუნდა. როდესაც კანონები უკვე დაწესდა, მას ვალიად აწვა მხოლოდ, მეტ ჩვეულების თანახმად, სხვა-და-სხვა სასულიერო წეს-მსახურებათა შესრულება. ის მხარე იმდენად ნაყოფიერი და ჯანმრთელი ჰავით იყო დაჯილდოვებული, რომ ხალხმა არ იკოდა რაა სიღარიბე და აეღმოყომა. ხალხი კი იმდენად კეთილ სინდისიერი იყო, რომ კანონებს არასოდეს არ არღვევდა. აკინოსუკე დარჩა კუნძულზე კიდევ უკა წელი. ოცდა სამი წლის განმავლობაში მას ერთხელაც არ სწვევია მწეხარება.

გავიდა ოცდა სამი წელი და აკინოსუკეს დიდი უბედურება ეწვია. ცოლი, რომელმაც უშვა ხუთი ვაერ და ორი ქალი, მიიცვალა. დიდის ამბობით და მდიდრულად დაასაფლავეს ის ხანრიოებს ოლქში და უგეგს დიდი ძეგლი. მწეხარებისაგან სიკუცხლე აღირას ნიშნავდა აკინოსუკესათვის.

როცა შევების დრო გათავდა, ტუკიოდან მოვიდა მეფის შეში *) და უთხრა აკინოსუკეს მეფის სიტყვები:

*) ელჩი.



— ჩენ აზრად გვაქვს გაგზავნოთ საკუთარ სახლები და დაუბრუნოთ თქვენი თავი თქვენს ხალხს. რაც შეეხება თქვენ შეიღებს, ისინი მეფის შეილიშვილებია და აღიზრდებიან თანაბმად მათი შთამომავლობისა. თქვენ მათთვის ნუ შესწუხდებით.

აკინოსუებმ მორჩილად მოისმინა მეფის ბრძანება, მოაწეურიდა საქმეები და გამოეთხოვა თავის კარის კაცებს. დიდი პატივით მიატოლეს ის ნაეთსადგურში, საცა უკვე გამზადებული იყო დიდი ხომალდი. შეუურდა ხომალდი ზღვაში, კუნძული რაიშვე ნელნელა ინთქებოდა ზღვის ლავევირდოვან სიკრუში; ბოლოს სულ გაჰქირდა... და აკინოსუებს გამოელეოდა ჭანდარის ქვეშ.

ჯერ ის გაშტერებული გამოიყურებოდა, მაგრამ, როცა დაინახა, რომ მეგობრები ისევ იქ ესხდნენ და მხიარულად საუბრობდნენ, წამოიძახა:

— საკურველია!

— ალბად აკინოსუებმ ნახა სიზმარი,—სთქვა სიცილით ერთმა მეგობარმა: —რა დაგესიმრა, აკინოსუები? რა არის საკურველი?

აკინოსუებმ უამბო თავისი სიზმარი — უკრდა ოთხი წლის ცხოვრება კუნძულ რიშვებე, ტოკოიოს სამეფოში. მეგობრებს ძალიან გაუკუირდათ, რაღვანაც სინამდვილეში აკინოსუებს მხოლოდ რამდენიმე წუთი ეძინა.

— შენ საკურველი სიზმარი გინახავს, —სთქვეს მათ, — მაგრამ არც ჩენ გვინახავს ნაკლები, ჩენ დავინახეთ პატარა, ყვითელი პეპელა, რომელიც თავს დაგტრიალებდა. ჩენ თვალს ვადევნებდით. მერე პეპელა დაეშვა მიწაზე, შენს გვერდით. უცებ მიწიდან ამოძრა უზიარმაზარი ჭიანჭველა, წაავლო პირი პეპელის და მიწაში შეათრია. შენ გაღვიძებამდე, ერთი წამით ადრე, პეპელა ისევ გამოიჩდა და სახეზე დაგტრიალებდა; უცებ ისევ დაიკარგა, საით — არ ვიცი.

— შეიძლება პეპელა აკინოსუებს სული იყო, — სთქვა



ერთმა:—მე ისე მეჩვენა, თოთქოს პეპელა პირში ჩავიტონდა...
შესაბამისად...

მაგრამ პეპელა რომ აკინოსუკეს სულიც ყოფილიყოს, ეს შაინც
ვერ ახსნის უცნაურ სიზმარს.

— იქნებ ჭიანჭველებმა ავეისსნან, რაშია საქმე,— სთვა
ერთმა, — ჭიანჭველები უცნაური მწერებია და ჭანდრის ჭვეშ
ჭიანჭველების ღიღი ბუდე მოსხანს.

— ვნახოთ, — წამოიძიხა აკინოსუკემ და ბარი მოქებნა.

ჭანდრის ქვეშ მიწა სულ ხვრელებით იყო აჭრელებული და
დასახლებული იყო მრავალრიცხოვან ჭიანჭველათა ახალშენით.


მრავალი და რთული შენობანი იყო აშენებული თხხისა, თა-
ვა-ჩალისა და ჩინჩხერისაგან, რომლებიც ძილიან ჰვაელნენ პა-
წაწინა ქალაქებს. ერთ-ერთ, სხვებზე ბევრად ღიღ შენობაში,
შეგროვილიყვნენ პაწაწია ჭიანჭველები და გარს ეხვევოდ-
ნენ დიდ ყვითელს ფრთიან ჭიანჭველის გვამს, რომელსაც
დიდი შევი თავი ჰქონდა,

— უყურეთ, ეს ხომ ჩემი სიზმარეთის მეტეა, — წამოიძა-
ხა აკინოსუკემ: — ი ტოკოთოს სასახლეც! უცნაურია!.. კუნ-
ძული რაიშუც იქვე უნდა იყოს სამხრეთ-დასავლეთით, — ი ამ
ძირის მარტბნივ! ი, ი ეს არის!.. ახლა კი დარწმუნებული
ვარ, რომ ვიპოვი ხანრიოვოს და ბატონიშვილის საფლავსაც.

ბევრითი დაკაირვების შემდგომ მან იპოვა პაწაწია ბორცვი
რომლის მწერვალზე იდო წყლით მოლესილი პატარა კაცი.
ეს კაცი ბუდიურ სასაფლაოს ძეგლის ქვასა ჰგავდა, ქვის ქვეშ
კი ჩამარხული იყო დედალი ჭიანჭველის გვამი.

ზონა ანთაძე.





უცნაური ყმაწვილი

თ ა ვ ი Ⅳ.

ემაწვილი ისევ მოდის...



კვე დიდი ხანი გასულიყო , რაც დონალდი
იჯდა ფართე ტოტებიან დაფნის ხის ქვეშ,
მაგრამ ყმაწვილი კი არსად სჩანდა.

როგორც კი რომელიმე ჩიტი დაიწყე-
ბდა სტევნას, დონალდი მაშინვე ყურებს
სცევიტდა, ეგონა მისი მეგობარი მოდიოდა.
ყოველ ფოთლის შრიალზე და ტოტის
შერხევაზე ის ლობისკენ, იცქირებოდა მაგ-
რამ ყმაწვილი მაინც არ მოდიოდა. დონალ-
დმა, დიდი ხნის დაღალულმა, ლოდინით

თვალები მიხუჭა.

— თქ, ერთი წუთით რომ მაინც მოვიდოდეს, — წაიწურ-
წულა მან, — მე მინდოდა...

უცნაურ მის პირდაპირ, მაღლა ხის ხშირ ტოტებში გაი-
სა: „ყვა, ყვა, ყვა“; დონალდი სწრაფ გამოცოცხლდა და
შეიხედა მაღლა.

— შენ ხარ, შენ! — შეჰყვირა მან სიხარულით. — გხედავ!

ერთ მსხვილ ტოტზე იჯდა უხარ-მახარი არა ჩეკულებრივი
ფრინველი. ეს იყო ყმაწვილი: ფეხებზე ეყა შევი წულები,
შევი მაღლა — ყელიანი წინდები დ აშევი ფერისვე შარვალი. თავ-
ზე ქონდა მოგდებული შევი თავსაფარი, რომლის ერთი წვე-
რიც დაეხვია პატარი ჯოხნე და კმილებით ეჭირა, ნისკარტის
მსგავსად. ხელმეორედ გაისმა მკვაბე ჩხავილი: „ყვა, ყვა, ყვა“!

— მოდი აქ, ჩამოდი ჩქარა, — შესძინა დონალდის და აღტაცებით შეჰყურებდა.

მაგრამ ახირებულმა ფრინველმა მედილურად და დინჯად გაა-
ქია თავი, შემდეგ გადილუნა კისერი გვერდზე და დაწყო მღერა:

ხომ ხედავ, როგორ შევი ვარ სრულად,
ხერხის წრიპინს ჰვაის ჩემი ხმური,
და შესახედად, როგორც ნამცხვარი,
ისე რგვალი ვარ და სამური*).

ამ სიმღერის დროს ფრინველი მიყად დაბრძანდებოდა ხის
ტოტზე და დონალდი კი მხიარულად და ხმამალა კისკი-
სებდა. ცოტა ხის შემდეგ ნისკარტი უცებ ძირს ჩამოვარდა
და გამოჩნდა დამალული ხელები, რომლითაც ყმაწევილმა მო-
იძრო ქრა თავიდან შევი თავსაფარი. შემდეგ გასწორდა წელ-
ში, მოიმზერა ფეხი და გადმოხტა ძირს.

— გუშინ შენ რამდენიმე ექიმს უნდა გაესინჯე, — სთქვა
მან, — ხომ არ მოგიკრავს ყური რა ილაპარაკეს გაშინჯვის
შემდეგ?

— ცოტაოდენი გაეიგონე: იმათ სთქეეს, რომ გამიკეთე-
ბენ ოპერაციას და აქ, ამ ბალში დამაწვენენ.

ყმაწევილმა რამდენჯერმე გაიარ-გამოიარა.

— მაშ შენ ისეთივე ტყვე იქნები, როგორც მე, დონ? —
ეტყობოდა, რომ ყმაწევილი აღლუვებული იყო, მაგრამ სკუ-
ლობდა დაემაღა ქს. — ა, მე უკვე შვილი კვირაა ამ საძაგელ
ტყვეობაში ვიმყოფები და...

— მერე რატომ არ ეტყვი მამაშენს, რომ აქ მოგწყინდა
და ისევ სასწავლებელში გინდა დაბრუნება? — ჰეითხა დონა-
ლდმა.

— რატომ? — ყმაწევილს მწარედ ჩეცინა, — იმიტომ, რომ
მისთვის სულ ერთია მომწყინდა თუ არა. საზოგადოთ არავინ
ყურადღების არ მაქცევს და ჩემთვის თავს არ იტკივებს.

*) ლექსები ვ. რუხაძისა.



— მე მაგათ რიცხვში არ უჩევიცარ, — უთხრა პატარა მაჭუქარე მარტონი
გობარმა და თამამთ ჩაუკერდა მრისხანე წაბლისფერ თვალებ-
ში. — მე ძლიერ, ძლიერ მინდა დავეხმარო როგორმე.

დონალდის ასეთმა სიღინჯით და გულის სიღრმიდან წარ-
მოთქმულმა სიტყვებმა ასიამოვნეს ყმაწვილს.

— მე ძლიერ მინდა, დედა ჩამოვიდეს, — სოჭვა პატარა მამა, —
ჩვენ ორთავეს ის ერთნაირის სიყვარულით და აღერსით მო-
გვეპყრობოდა.

ყმაწვილი სდეუმდა.

— რას მღეროდი ყვავხე, წელან ხეზე რომ იჯექი? — ჰე-
თხა დონალდმა.

— ყვავხე? მე კი მეგონა შევ მოლალურზე ვმღეროდი; —
და დაწყო სიმღერა:

წინად კი თეთრი ვიყავი, ვით თოვლი,
ველს ამშენებდა ჩემი ნაერდი,
მაგრამ შევტრინდი ერთხელ სკოლაში
და სამელნეში უცბად ჩავვარდი.

— არა, ეგ ის არ არის, — სოჭვა დონალდმა. — გაიმეორე
ის, წელან რომ მღეროდი.

ყმაწვილი წელში გასწორდა და საყვედურით შეხედა დო-
ნალდს.

— შენ მოხოვ მე ერთი და იგივე ორჯელ გავიმეორო? —
ჰეთხა მან.

— ამ, სრულიად დამავიწყდა! — სინანულით უთხრა დო-
ნალდმა.

— აა, მე შენ ახლავე იგისნი, — უთხრა ყმაწვილმა ცოტა
სიჩრდის შემდეგ, — რატომ არ მიყვარს ორჯერ გამეორება
ერთი და იგივესი. ამა, დაფიქრდი: ყველა ხალხი ერთსა
და იმავე სიტყვას ხმარობს, და კიდევ თუ ორ-ორ-
ჯერ გაიმეორა, მაშინ ხომ ძალიან ჩქარა გაცვლება ყვი-
ლა სიტყვები.

— განა შეიძლება სიტყვების გაცემა? — უნდობლივ — უნდობლივ ეკითხა დონალდი.

— რატომაც არა? — ერთი ჩემი ძველი მეგობარი ისე ხშირად იმეორებდა სიტყვებს: „ესეც შენ“, რომ მე მეშინოდა ეს სიტყვები არ დამსხრულიყო და უნებურად მიეიბრუნებდი ხოლმე იქით სახეს, რადგანაც მეგონა ამ სიტყვების ასოები — ე და ზ შეი თვალებში მეცემა მეთქი. მე კი ყოველთვის უდილობდი სულ ახალ-ახალი სიტყვები მომევონა. თუმცა ჩემ მოღვაწეობას არავინ არ აფასებდა სასწავლებელში ქალბატონ ტებჰლის შეტე და ისიც...

— ის შენი მასწავლებელი იყო?

— რასაკეირველია არა, — მოკლედ უპასუხა ყმაწვილმა. — ტებჰლი იყო ქალბატონი, რომლის შერთვაც უნდოდა ჩენ. სასწავლებლის უმფროს რანსონს. სწორედ იმასთან იყო მოწერილი ის წერილი, რომელის შესახებაც წარმოიდგინეს, რომ მე...

ყმაწვილი სწრაფად მობრუნდა და წავიდა იქით, სახეზე კი სირცხვილის აღმა გადაჭრა.

— რა წარმოიდგინეს? — კითხა პატარა მეგობარმა, რომელსაც ყმაწვილის აღლებება გადაეცა.

მაგრამ ახირებულმა ყმაწვილმა თავს ძალა დაატანა და დამშვიდდა.

— წარმოიდგენა — ძლიერ საშიში რამ არის, — სთქვა მან შევიდად. ღმერთმა უწყის რის წარმოიდგენა კი არ შეუძლია კას. ზოგჯერ ისეთი რამის წარმოიდგენაც კი შეიძლება, რაც სრულიად არ შეესაბამება სინამდევილეს. აი, მაგალითად, შენ რომ წარმოიდგენის უნარი გქონდეს, წარმოიდგენდი შენ თავს საღმე შორს იქედან. მე კი წარმოიდგენა რომ არ მეტერხებოდეს ვერც მიეიღებდი საჩუქრად ორ შეენიერ სამეფო ვეფხეს რაჯა*)

მარლინორისაგან.

— არ... რას? შენ ველურ ვეფხვებზე ლაპირაკობ?

— რატომაც არა? ეგ რა გასაკეირველია! ხაქმა ის არის,

*) ინდოელი თავადი.



როგორ მოვედი აღმოსავლეთიდან ჩემ ერთგულ ინდიკატორ მას საშასურებელით, რომელიც არაფრის გულისთვის არ მიღალა-ტებდენ და თან მოვიტანე მთელი კალათი ლილი და სხვა ძირ-ფისი თვლები. ყველაზე გასაკვირი კი ის იყო, მე რომ ინდი-ელი რაჯა გადავიჩინო სიკვდილს, როდესაც მე და ის იქაურ ჯუნგლში დაეიძნით.

დონალდი გაშეშებული განციფრებით შექუურებდა ყმა-წვილს, რომელიც დინჯად განაგრძობდა:

— ერთხელ მე და რაჯა ვბურთაობდით ჯუნგლში და ვერ შევამჩნიეთ, როგორ წავედით ძლიერ შორს. სწრაფად დაღა-მდა, როგორც საზოგადოთ ინდოეთს სწვევია. ჩემს გარშემო სისინჯდენ გველები, ყმუოდნენ და დახტოდნენ ლეოპარდები და ლომები იმათი თვალები საშინაო ინათებდნენ და ჯუნ-გლის წყვდიაღში უეცრივ გაისმა მძღვანი ყმუილი, რიღაცის ხანგრძლივი ყვირილი, და მაშინვე მივხედით, რომ ვერ გადა-კურჩებოდით ჩემკენ მომავალ მხეცებს; მაგრამ მე მაინც გა-დაეწყოტე ძვირად დამტესვა მათოებს ჩემი სიცოცხლე. მხეცები ნელა გვიახლოედებოდნენ, ბოლოს ხეებს შორის გავარჩიეთ ორი უზარმაზარი ვეფხვი; როდესაც ისინი გამოვიდნენ ხეებიდან, მე მიუბრუნდი და უეცრივ დაუყვარე „აცხა“.

— მითხარი, მითხარი, ეგ ყველაფერი მართალია? — შესძაბა აღელვებულმა დონალდმა.

— რა არის მართალი? — ჰეითხა ყმაწვილმა.

— კველა ის, რაც შენ ილაპარაკე ვაუხვებშე და სხვა მხეცებშე... ყველაფერი მართალია?

— რასა კვირეველია, არა! ეს მოგზაურობა იყო მხოლოდ ჩემი წარმოდგენა და მაშისადამე ინდოელი რაჯაც, ოქროც, ძვირფასი ქვები, ვეთხევები და სხვა ყველაფერიც მხოლოდ „წარ-მოდგენა“ იყო. ხომ გითხარი, რომ „წარმოდგენა“ საშინელი რამ არის. ახლა კი დროა ჩემი წასკლისა:

მან წაიკლო ხელი მარჯვენა ფეხში და მარცხენა ფეხშე ხტუნვით გამართა ლობისკენ.



“ ସବୁ ମିଳିବାରୀ ? ଏହି ମାଲ୍ଯ୍ୟ ? — ଶୁଣିଲାଦାନ୍ତପ୍ରେସରିକ ଶିଖିଲାମାନ୍ତପ୍ରେସରିକ
ଫର୍ମନ୍ଟଲାଇନ୍ଡିଆ ।

— Տես մաղթ? — ցանձրութա պիտի զոլմա. — Եռա դռն, հիմո սառտո միջութեա, և առաջ պատճեան առուս դա հոգութիւնը մոցյեսենքծա, հիմո սառտմա յու 『Համալուցիւնա』 առ ըստո.

ამ სიტუაციაში ერთად ყმაშვილი გადახტა ლობეზე და მოე-
ფარა მას.

V.

დონალდი ჰლაპერის მოთხოვას შეავლობს.

ერთ ილავგას სწორედ იმ დროს, როდესაც დონალდის საეპისკოპოსი დასდგენ დაფინის ხის ქეშ გვიმბრის ბუჩქებმა ორა-ნებულებრივად იწყეს რხევა: გვიმბრამ გრძელი ფოთლები მძღვა-რად შეატანა, თავები ბალახზე გაცილებით მიღლა ასწია; შემ-დეგ ფოთლების ჩხევა შესწყდა; გვიმბრა უცემ დაეფინა მიწაზე და გაჩერდა.

ირგვლივ სიჩუმე იყო გამეფებული. დონალდი ბალიშებზე მიყრდნობილი იჯდა და სტკეპორდა ბუნების სიშვენიერით. მის მახლობლივად გაიტრინა უურტკარმა, რომლის ბზულიც ამ სიჩუმეში ჩვეულებრივზე უფრო მძლივრად და მკაფიოდ გაისმა. ხელი ბალახებიდან ისმოდა კილიების ჭაბანი და ჭრიქინების სუსტი ჭრიქინი. დონალდმა სწორედ ამ წყნარ ჭრიქინს მიაქცია უურიადება. შეიძლება მართლა ჭრიქინს ხმა იყო; მაგრამ განა არ შეიძლება, რომ ის უცნოური ყმაწევილი იყოს? სუსტი ჭრიქინიც მალე შესწყდა და არავითარი ხმაურობა აღარ ისმოდა. რასაც შეეძლო იმედი ალექსა რომ ყმაწევილი იქ არის.

— მე იმედი მაქვს, რომ ის დღეს უშეველად მოვა, — სოჭა
ხმაშილოა დონალდი. — უკუ სამი დღეა, რაც აზ მოსულო.

გვიმრებით დაფარულ მღინარის პირას უცემ ბიყების ყიყი-
ნი გაისმა; დონალდი შეხტა. შემთხვებულმა შეხტა გვიმრის



მწეანე ბუჩქს. ყიყინი განშეორდა. ფოთლებიდან ჭარბისუკაუნა ბოლნენ ვიღაცის წაბლისფერი თვალები. დონალდმა აღტაცებით შემოჰკრა ტაში, — მან იცნო ყმაწვილი.

— მოდი, ჩქარა მოდი! — მხიარულად შესძიხა მან. — ვიცანი! თუ ხათრი გაქვს, ჩქარა გამოდი მაგ ბალახებიდან, გვყოფა ბაყაყად ყოფნა.

— გამიგონე, დონალდ, შენ ძლიერ საკვირველი რამ ხარ. — შემიძლია გყითხო, — განიგრძო მან ამაყური კილოთი, — თუ რა გაქვს შენ ბაყაყების საწინააღმდევო?

ბავში მიიკუნქა საერთელში და ერტყობოდა, რომ ყმაწვილის სიტყვებმა შეაკრთო.

— განა შენ კი გიყვარს ბაყაყები? — პეითხა მან ბოლოს, — მე ვუიქრობ, რომ მაინც და მაინც არც შენ მოგწონს ისინი.

— პირიქით, ერთ ბაყაყსაც არ შეუძლია მე თავის მტრად ჩამთვალოს, — ამაყად წარმოსოთქვა ყწიაწვილმა და რა შენიშნა თავის პატარა მეგობარს სახეზე დალონება, მაშინვე დაანება თავი ხუმრობას.

— არა, ჩემი მოხუცო, ხომ იცი, რომ გეხუმრები! ჩემი მეგობრობის გულისათვის სრულებითაც არ ხარ ვალდებული ბაყაყები და სხვა ასეთი ცხოველები გიყვარდეს!

დონალდის სახეს წამსვე მოშორდა ღრუბელი და სიამოვნების აღმულმა გადაჰკრა.

— ძალიან მიხარია, რომ მეგობრიდ მოელი; შენ ათანა-ირი რინების გაკეთება იცი! — მან სიყვარულით მიაპყრო ყმაწვილს თავისი სათნოიანი, მოელვარე თვალები. — შენ ხომ შეგიძლია ლექსი გამოსთქვა რაზედაც გინდა, არა?

ყმაწვილმა თავი დაუქნია.

— განა შენ კი არ შეგიძლია, დონი?

— რა, ლექსების შეთხვეა? არა, და არცა მცონია, რომ როდისმე მოვახერხო.

— ვცალოთ. ივილოთ მაგალითად სიტუა „პრიქინა“.

მე დავიწყებ ასე:



„მე რომ ვყოფილიყავი ჭრივინა, პაწაწყინტელა, დაბურულტყეში ვიხტუნებდი, ვირბენდი სულა.

უცემ დონალდმა განაგრძო:

გაუუმიართავდი მეჯლის-ცეკვის ცელქ პეპელებსა
და გვიკრავდი მე ჯიბეში ბერ დოლარებსა*.

დონალდმა სიცილით დაამთავრა თავისი ლექსი. უმაწვევილი
გავეირვებული წამოსტრა.

— როგორ, როგორ პატარაე! — შესძხა მან. — შენ ლექ-
სების შეთხევ შეგძლებია? ხედავ, როგორ კარგად გამოვიდა?

— მეონია, მართლა რაღაც გამოვიდა, — წაიჩიურნიულა მან
და სიხარულით აითო. — მე მეონია, რომ ეს შენგან ვისწავლე,
სწორედ ისე, როგორც იადონი სწავლობს გალობას, როდე-
საც მისი გალია რომელიმე მგალობელ ფრინველის გვერდით
ჰყიდია. მეონია ისეთი ზღაპრის მოყოლაც კი ვისწავლე, რო-
მელიც ბოლოდან იწყება.

— ჩინებულია, აბა სცადე, — უთხრა უმაწვევილმა. — შეუდექი
საქმეს პირდაპირ ბოლოდან, დონი-ჩემო კარგო.

— კირი იქ, ლხინი აქ, ესეც შენი ზღაპრის ბოლო, —
შესძხა დონალდმა.

— რომელი ზღაპრისა? — იკითხა უმაწვევილმა.

— არ ვიცი, — მიუვი დონალდმა, — ვფიქრობდი რომ შე-
ვიძლებდი, მაგრამ...

— არა უშავს რა, იქნებ მე ვიცოდე, — გაამხნევა უმაწვევილ-
მა, — ევ სწორედ ის ზღაპრია, რომელიც უამბო რაინდმა ქალს,
როდესაც დაბრუნდა რვა წლის ძიების შემდეგ.

— რის ძიების?

— რის? ნუ თუ არ იცი შენ, ზოგჯერ რა სულელურ
მოთხოვნილების წარუდგენენ ხოლმე მანდილოსნები თავიანთ
რაინდებს? შეიძლება ის ქამრის უბრალო აბზინდა იყო, რო-
მელიც დაეკარგა ქალს რაინდთან სეირნობის დროს. რაინდმა
დიდი ფიცი მისცა, რომ წავა აბზინდის საძებნელად და სანამ-
დის არ იპოვნის არ დაბრუნდება შინ.



361353-11

— კი, მაგრამ ჩვენ წელიწადი მაინც რისთვის გაიძა.

— იმისთვის რომ აპზინდა ვერ იპოვნა და ხელცარიელი კი ვერ დაბრუნდა. ამიტომ დადიოდა ის მთელი წლები და ყაველ ღამე ახალ ფიცს სდგროდა, რომ შეასრულებდა დანაპირს და შოლოდ მაშინ დაბრუნდებოდა ქალთან.

— ဇာဝန်ဆုတ်ဇာဝ?

— დაბრუნდა, მხოლოდ არც ისე მაღლე, როგორც მას ეკონა. წარმოიდგინე შენ, რომ ქალს აბზინდა სულიც არ დაუკარგავ! აბზინდა გახდართული იყო ქალის ხავერდის კაბის ნაკეცებში და როდესაც ეს მან შენიშნა, რაინდი უკვე ძრიელ შორს იყო წასული.

— რატომ ტელეფონით ამ შეატყობინა?

— ტელეფონით? მეთექვსმეტე საუკუნეში, ჩემი დონალდ, ტელეფონი მაინ-ტა-მაინც არ იყო გავრცელებული. მიტომ ის კალიც ისე მოიქცა, როგორც მაშინ იქცეოდა: ჩიკეტა თავის თახაში და მთელ ნახვაზ დღეს სტირლინგი, მეორე ნახვაზს კი ფანჯარაში უყურებოდა,—ჩემი რაინდი ხომ არ მოჰის.

—ის ხმა უკვე დაბრუნდა! —შესძინა დონალდიშ, რომელიც დიდი უურალებით უგდებდა უურს.

— რასაკეირველია დაბრუნდა რეა წლის შემდეგ და თან
პიტიარა ზანდი მოიყენა.

— զո՞ն նանդո՞ւ?

— ომ, ეს ხომ იმ ამბეის გვერდელებაა, რომელიც უამბო
რაინდმა ქალს. ერთხელ თავის მოგზაურობის დროს რაინდი
შეხვედა ყაჩაღების ბრძოს. მათ თან ახლდათ პატარა მონა ზან-
გი, რომელსაც ძალიან სასტიკად ეპყრობოდნენ. რაინდი ზა-
შინვე შეებრძოლა მათ პატარა ზანგის გასანთვისუფლებლად,
გარეუკა ისინი იმ ქვეყნიდან და დაიტიცა, რომ ყაჩაღები ვეღარ
დაბრუნდებოდნენ უკან. მას შემდეგ პატარა ზანგი ყოველ დღე
დაპყვებოდა თან რაინდს და აბზინდის ძებნაში შევლოდა. იმ
სწორედ ამ პატარა ზანგმა მოუდოთ ბოლო აბზინდის დაუსრუ-
ლებელ ძებნას.

— რანაირად?

— ერთხელ, როდესაც ისინი თითქმის შეათასევე მიღი-
ოდნენ დაბურულ ტყეში, პატარა ზანგმა იყითხა, თუ როგორი
იყო აბზინდით. როდესაც რაინდმა დაწერილებით აუწერია ის,
პატარა ზანგმა ისე მაღლა ასწია ცხვირი, რომ გაეხლართა თა-
ვის შე ხუჭუჭა თმაში.

— ო, ღმერთო ჩემო, მერე მავისთვის ასე იწუხებთ თავს? ახლავე წაგიყვანთ ისეთ ალიგოს, სადაც აუარებელი ოქრო და
ძეირფასი თვლებია. იქ შეგიძლიათ გააკეთებინოთ ახალი აბ-
ზინდა. მე დარწმუნებული ვარ—ის გაცილებით უკეთესი იქ-
ნება ძველ აბზინდაზე.

— შეგიძლია? — ჰეითხა გაკეირდებულმა რაინდმა. — მაში წა-
ვიყვანე ჩეარა.

„პატარა ზანგმა წაიყვანა რაინდი ერთ გამოქვაბულში,
სადაც ოქრო და ძეირფასი თვლები დიდ ზეინებად იდგა. წი-
ნად ეს გამოქვაბული კეთივნოდა ყაჩალებს, მაგრამ ზანგმა და-
არწმუნა რაინდი, რომ მას შეუძლია ცველა ძეირფასეულობა
წაილოს, რადგანაც ყაჩალები მან გარეკა იმ ქვეყნიდან და ისინი
დაბრუნებას ვეღარ გაბედავდნენ.

„რაინდი დიდ ხანს იყო უარზე; არ უნდოდა დაბრუნე-
ბა სახლში უაბზინდოთ, მაგრამ პატარა ზანგმა დიდი მრკიცე-
ბის შემდეგ დაარწმუნა და რაინდიც გაუდგა გზას.

„ის სწორედ ამიტომ იყო, რომ მისმა შეგობარმა ქალმა
დაინახა ის შინ მიმავალი. ცხენის მოსართავები სულ ძეირფა-
სი თვლებით იყო მოქედილი. თვითონ რაინდიც შევენიერ და
ძეირფას ტანსაცხელში იყო გამოწყობილი, მაგრამ სახე კი მო-
ლრუბლული და შეწუბებული ჰქონდა, რადგანაც ვერ შეასრუ-
ლა ფიცი და ძველი აბზინდი ვერ მოუტანა ქალს.

„ქალმა დასტაცა ხელი აბზინდს—მიზეს ცველა უბედუ-
რებისას—და გაიქცა რაინდის შესაგებებლად. როდესაც გადა-
ეხვია რაინდს, აბზინდი ხელიდან გმოუვარდა.

— ქალბატონო,—უთხრა რაინდმა,—მე დაებრუნდი უკან

ამდენი ხნის უნაყოფო ძიების შემდეგ, მაგრამ მოგიტანეთ ანალი აბზინდი, რომელიც... ამ დროს მან უცაბედათ დააღვა ფეხი ძველ აბზინდს, რომელიც თურმე უბრალო რეინის იყო — ამ სწორედ იხლა შეიძლება ითქვის: ჭირი იქა, ლხინი აქა, ქსეც შენი ზღაპრის ბოლო! — შესძახა მხიარულიდ დონალდმა. — ხედავ, რომ შენ წელან მართალი იყავ, — შენიშნა ყმაწვილმა.


— შემდეგ რა მოხდა? — იკითხა დონალდმა.

— როგორ თუ რა? — გაიკვირა ყმაწვილმა: — შემდეგ ისინი დაქორწილდნენ და ბელნიერებაში გაატარეს მოელი თავისი ცხოვრება, — გატაცებით დამთავრა დონალდმა.

— იყი, პატარავ, — დინჯათ წარმოსთქვა ყმაწვილმა. — შენ თანდათან დიდი ბრძენი ხდები. დარწმუნებული ვარ — მაღლე დიდ წიგნსაც დასწერ ძველი რაინდების ცხოვრებიდან, დაიხსომე ჩემი სიტყვები!

და მხიარული სიცილით ყმაწვილი გაიჭია შინისაკენ.

(შემდეგი იქნება)





—ჭირობულის — —წერილები.—

როგორ გავატარე მე შობის
დღესასწაულები.



ვიდეს დეკიმერს დილით იძრე ავდექი,
ამ დღეს თავს რაღაც არაჩეულებრივად
ვვრძნობდი. ვისაუზმე და გაეცურე სას-
წავლებლისაკენ. ამხანაგებიც რაღაც სხვა-
ნირ ხასიათზე იყვნენ...

დარეკეს... პირელი გაცემილი
ფრანგული ენა იყო. შემდეგ შემობრძან-
და კლასის დამრიცებელი და მოწმობები
დაგვირიგა. მე ნიშნებით კმაყოფილი
დაერჩი, გარდა ერთისა, სახელდობრ—

ქართულ წერისა, რომელშიც მქონდა ოთხი. ეს ერთად-ერთი
ოთხი ჩრდილს ჰქონდა ჩემს მოწმობას, რადგან დანარჩენში სულ
ხუთები მქონდა.

გამოცემშემომავა ამხანაგებს და წამოცელ სახლში, ბიძი-
სას. ის შინ არ დამხედა,—სამსახურიდან ჯერ არ დაბრუნებუ-
ლიყო. თუმცა ძლიერ მსურდა, რომ ენაბი ჩემი ნიშნები,
მაგრამ შეცდის დრო აღარ მქონდა. ვისადილე და წავედი სო-
ფელში, გომში.

გზაზე მარტო მივდიოდი. გვერთე წარსულის მოგონება-
ში; მომავლნდა 1915 წელი, საშობაოდ დათხოვნა, ბავშვების

სიხარული. მომავალიდა დაკარგული მამა, ბიძა და სხვ.. გული სევდით ამეცსო... ამ ფიქტებში გართული მიუუახლოვდი სოფელ შემოქმედს.

აგრეთვა გამოიჩინდა პატარა გორაკზე შემოქმედის მონასტერი, რომლის სიტურეები გამიტაცა და ხმამაღლა, ნატვრის კილო-თი წარმოვსთქეი: ოხ, ნეტავ, როდის იქნება, რომ ჩემი კა-ლაში შესძლებდეს მისი შევნების ღლწერას!..

საღამო ხანი იყო, როცა სახლში ავედი. ეზოში რომ შევედი, ყეფით გამოიქცა ჩემკენ პატარა „მურია“, მაგრამ მა-ლე მიუნო და სიხარულის ნიშნად წკმუტუნი დაიწყო.

დედასა და დასაც ძლიერ გაეხარდათ ჩემი მისვლა. იმ ღა-მეს დაღლილობის გამო აღრე დავწერი. მეორე დღეს გავემურე სამხარეულო სახლში, საღაც ჩემი ყურადღება მიიპყრო ქათმე-ბით საესე „ძარომ“, შიგ ჩემი თეორი ქოჩორაც იყო. მე ის მისელისათვალი გვეთავისულდე.

შობის წინა დღე, „ბრავეწობა“, შევენიერი მზიანი და თბილი იყო. ასე გეგონებოდათ, თითქოს თვით ბუნება იღებ-და მონაწილეობას საერთო მხარეულებაში.

დედასა და დასთან ერთად შეუდექი საშობაო სამზადის: დავკალით ქათმები, გამოვაცხევთ რამოდენიმე მუცლის საღმო-ცავი, ღვემლები და ხაჭაპურები. ასე და ამგვარად ყველაფერი დავამზადეთ შობისთვის. თუმცა ახლო ტანთხაცმელი ჩემთვის არ შეუკერავთ, მაგრამ მაინც კმაყოფილი ვიყავი, რადგან ამ დღესასწაულებს შეძლების დაგვარად ვეგებებოდით.

შრომისაგან დაქანულს იღრე ჩამეძინა და გულის ფან-ცელით ველოდი შობის გათენებას. როგორც წინა დღე, ისე შობაც საამური და მზიანი იყო. მეზობლებმა გაიარეს ექლე-სიისაკენ, და მეც ამხანაგებთან ერთად იქით გავემურე.

სახლში რომ დავპრუნდი—ვისადილე. შემდეგ გვეწვიუნენ სტუმრები; ისინი საღამომდის დარჩენენ და იბასეს სხვა-და-სხვა საგანზე, განსაკუთრებით იმის შესახებ, თუ რომელი სტილით იდღესასწაულებდნენ ახალწელს, „კალიანდას“. თუმცა წელს



გამოცხადებული იყო, რომ „კალანდა“ ახალი სტილით უნდა გვედლესასწაულნა, შეგრძამ საუკუნოებით განმტკიცებულ ზნე-ჩვეულების უცბად უკუგდება ერთობ ძნელია.

და მიტომ ჩვენმა ხილმაც წელს „კალანდა“ ძევლი სტილით გაითხნა.

ჩვენც შეძლებისა დაგვარად შევეგებეთ ახალწელს: წინა დღეს, „ცხემლისპერას“, დავკალით ლორი და ქათმები, გამოვაცხევეთ ხაქაპურები, ვიყუდე „ჩიჩილაკი“ და გავაწყვე ფორთოხლითა და კამფეთებით. ვახშამს შემდევ დავაწყვე გობზე, —ხაქაპური, ლორის ხორცი, ქათმი, ვაშლი, ფორთოხალი, კამფეთი, გოხინაყი, ვერცხლი, ტყევია, საკმეველი—და გობს ირგვლივ სანთლები შემოვაწებეთ. ამგვარად საახალწლოდ გაწყობილ გობს გურიაში „საფერხახეს“ უწოდებენ.

„საფერხახე“ ღავდეთ სუფრახე... დაწოლისას დედაშ მომაც ხაქაპურის ნაჭერი და მითხრა; „ავი, შეილო, „საჯობნელია“. დილას, თოფის ხშის გაგონებამდი, ჭამე და შემდევ სულ გამარჯვებული იქნებით. მე გამოვართვი და უცდილობდი დედის დამარებული ამესრულებია. შემდევ შრომისაგან დაქანცულს მალე ჩამეძინა.

როცა გამომელვიდა, მთელ სოფელში თოფების ხმა ისმოდა, რამაც თათრების შემოსვე მომავონა. ვქამე საჯობნელი, სწრაფად ავდექი, ხელ-პირი დაციბანე, ვილოცე და საუზმეს შემდევ წიგნის კითხვა დავიწყე.

გურიაში ამბობენ, და მეც მჯერა, რომ რასაც ახალწელს დაიწყებ, ანუ, როგორც გურულები იტყვიან—„დამედები“, მთელი წლის განმავლობაში იმ საქმეში დიდი წარმატება გვქნება.

საღამო მოახლოედა. ვატყობლი—„ავუნას“ გაღამახების დრო იყო. დედას ვკითხე, თუ როგორ მოვქცეულიყოთ. დედამ მითხრა: „ჩვენსას, შეილო, მამაკაცი არავინ არის, და ვინ დაიძახებს „ავუნას“—ო. მახლობლისაგან კი მომსმოდა:—

„აგუნა, აგუნა, გადმოიარე,
 ბახეი და ასკანა გადმოიტანე;
 ჩვენს მიმულში ყურძენი,
 სხვის მამულში — ფურცელიო! — და სხვა.

შე დაეფიქრდი და კსოვეი: „ყველა რომ ისე იძახის, ნე-
 რავ ეს ფურცელები ვის ადგილში უნდა დარჩის მეოქვი...“

„კალანდას“ მეორე დღე, ანუ „ქათმიფერხვა“, მზიანი
 იყო... პირ-მცინარე შეე ამაყად მოუკრდა და თავისი ოქროს
 სხივები უხვად მოჰვინა არემარეს. „ქათმიფერხვას“ დიდი ყუ-
 რადლებით ეკიდებან გურიაში, განსაკუთრებით ქალები. ეს
 იმიტომ; რომ ეს დღე „დაცდის“ დღედ ითვლება. შე ეს წინ-
 დაწინ ვიცოდი, და ამიტომ სამზარეულო სახლში დილა-ად-
 რიან ჩაედი. იქ დედას დაედგა სუფრა, დაეწყო ხეჭაპური,
 ღორის ხორცი და ბოთლით ღვინო. იქვე იდგა კოთხო სი-
 მინდით, რომელიც მომტა დედამ და მითხრა: „აბა, შეიღო,
 ფერხვე“ ქათამი, შემოუარე სამჯერ კერიას და სთქვი: „ათას
 დედალ, ათას შამალ, ათას მისი წიწილები“. მეც ისე მოვიქე-
 ცი, როგორც დედამ მიბრძანა.

ჩვენი ყურადღება იქით იყო მიქცეული, ვინ მოვიდოდა
 პირველად ჩვენსას. არ გასულა დიდი ხანი, რომ შემოვიდა
 ერთი შეზობლის პატარი ბიქი, რომლის მოსვლა ძლიერ გვე-
 სიამოვნა, რადგან ის ჩვენ უკვე დაცდილი გვყავლა, როგორც
 „კარგი ფეხის“ ადამიანი. დედამ „აფერხვია“ მას ქათამი და
 შემდევ მოიპატიე სუფრასხე. მოელი ეს დღე მხიარულებაში
 გაეატარეთ, რადგან გურიაში ასეთი თქმულებაა, თუ იმ დღეს
 მოიწყინე, მოელი წლის განმავლობაში ქათმებს ჩხუბი ექ-
 ნებათო.

როგორც „კალანდას“, ისე მეორე დღესაც დადიოდნენ
 მეზობლები ერთი-მეორესას და ახალწელს ულოცავდნენ.

სწავლის განახლების დროც მოახლოედა. მა წამოსასვლე-



ლად მოვემზადე. დედამ და დამ გზა დამილოცეს და სამ იან-
ვარს სასწავლებელს ვესტუმრე, სადაც ამზანაგებთან ერთად
დავიწყე მეტადინეობა.

ოზურგეთის ქალთა გიმნაზიის მე-III კლ. მოსწავლე
შარიაშ აბაშიძე.



ოთხი დრო.




ამთარია... თოვს და ჰყინავს,
ატრიალებს ნამქერს ქარი.
თეთრ თექას ქვეშ გახვეულა
არემარე, მთა დაბარი.

გაზაფხულდა... დაჭრა სიომ,
და ბუნება ახმაურდა,
არე მარე, ველ-მინდორი
ყვავილებით აზურმუხტდა.


ზაფხულია... და მთის წვერზე
მწყემსი მღერის „დელა-დელას“,
მუშები კი პურსა მკინ,
დასძახიან „ჰოროველა“-ს.

შემოდგომა... და ფრინველნი
მიფრინავენ უცხო მხარეს,
ჟველა საზრდოს ეზიდება,
ასწორებენ დღე და ღამეს.

მოწაფე: იჩოდი ნეფარიძე.



ზამთრის სურათი



ეთრი თოვლით შემოსილა
არე, მთა-ბარი;
თოვს, სიცივეა და საშინლად
გრიალებს ქარი.

ყველგან სიჩუმე, მყუდროება
გამეფებულა;
მკვდარი ბუნება უსიცოცხლოდ
დაძინებულა;
აგერ მუხაზე შემომჯდარა
ყვავი ყვანჩალა,
შიმშილისაგან მოჰკლებია
ლონე და ძალა,—
ველარ გაპერის ძველებურად
თავის ყვა-ყვასა,
მხოლოდ ხანდისხან გაგვაგონებს
თვის უძლურ ხმასა;
და შორს ტყეშია გულსაკლავად
ლმუის მხეცები,

საჭმლისათვისაც სოფლებშია
 დაძრწიან მგლები.
 აღარც ხევშია მორაკრაკე
 წყარო ან კარა,—
 მკაცრ სიცივესა გაუყინავს
 იგი პატარა;
 აღარ ამშვენებს ტყეს ფოთოლი,
 ბაღს—ვარდი, ია,
 და თეთრ თოვლ ქვეშა არემარე
 მოწყენილია;
 მხოლოდ მინდორზე საშიშრადა
 გრიალებს ქარი,—
 თითქოს ჩაგვძახის:—ზამთარია,
 მკაცრი ზამთარი!

შოწაფე იროდი ნეფარიძე.





ଶାଖାଧେନୁ

(ପ୍ରକାଶମତ୍ରକୁଣ୍ଡଳ ଦେବ ନାନାରାମକୁ ମହିନେ)

I


ତିର୍ଯ୍ୟକେଣ୍ଠି ପ୍ରସ୍ତରାଷ୍ଟରିଃ
ରାତ୍ରି କି ଶିଥିନି ଏନ ଉପିଜରେବା,
ମାତ୍ର ଧରିଲୁଣ୍ଠି ଆମ ଏହ କୁନ୍ଦା,
ଶାରାଦାଶି ଏହି କ୍ରୀଦା.
ମେହିର୍ଯ୍ୟ ଶିର୍ଯ୍ୟାର କମାରିନ୍ଦର୍ବନ,
ରାତ୍ରିରେ କିମ୍ବା ମାଲିନୀ ଶର୍ଯ୍ୟଦେବା—
(କ୍ରୀଦନ୍ତକୁ ମିଳି ଧରିଲୁଣ୍ଠି କମାନାଦ
ପରିତିଲି ମାତ୍ରିକରାଦ ଶ୍ରୀରା ଶର୍ଯ୍ୟଦେବା),
ଶାରିତିର୍ଯ୍ୟ ମାତ୍ରା ପାନିଦୟନ୍ତି,
ରାତ୍ରିକାନାତ୍ର ତ୍ରୈତିନକ ଶ୍ରୀକର୍ମଦେବା.

II

କୁରିତି ରାମେ ଶେବନିବ
ଏହ ମାର୍କପ୍ରକଳିବନି ଶାନ୍ତେଲିତ,
ଶେଷି ମଦିମ୍ବା ପ୍ରେର ଦାବନନ୍ଦରାଗ,
ଶେଷି ମୁଶୁଦ୍ଧୁରାଦ ଏନ୍ଦ୍ରିୟ ଶେଲିତ;
ପ୍ରାଣକ୍ରି ତିର୍ଯ୍ୟକେଣ୍ଠି ମାର୍କପ୍ରାଣି
ଶାନ୍ତିକୁ ଶାନ୍ତିକୁ,
କୁରିତି କମାନିବ—ମେହିରିକୁ
କମିରାଦ ଶାନ୍ତିକୁବେଳିକୁ
ମିଥିରୀକୁ ଗ୍ରମିନ୍ଦ ଦାଉଜାରୀଗ୍ରୀ
ଏହ ଏହିକୁ ମାନ୍ଦେବେଳିକୁ,
ଦାନ୍ତିକରିଦେଇ ଦା ପାନିକୁପନ୍ଦ,
ତାମ୍ରମୁ କି ଶାକ୍ରନ୍ଦିଶେବେଳିକୁ.

ଶାଖାଧିକୀ

(ଚାରିମିଳଙ୍ଗେନିଲୀର କ୍ଷେତ୍ର ମାର୍କ୍ଷାଶ୍ଵସଲୋକ ମିଶର).



”



,

 କାଳୋକ କାଳୁଙ୍ଗୋ
କାଳୁଙ୍ଗୋ
କ
”
 ଲାଦ ଲାଦିନାହୀନ୍ୟ
ତୁମ୍ଭାରୀର ରାଶ ଲା-
ଅଦ୍ୟବ୍ୟନ୍.


”



,

 ମାର୍କ୍ଷାକୀର୍ଣ୍ଣ
ମାର୍କ୍ଷାକୀର୍ଣ୍ଣ

 କାଳାନ୍ତିର
କାଳାନ୍ତିର


କ



କ

ବୀରପ୍ରେଲ ବୀମ୍ବରିଥି ମାତ୍ରାକ୍ଷେତ୍ରରୁ ଶାରୀରକେବିଲ୍, ଗାମ୍ବିକାନ୍ତକେବିଲ୍
ଦା ର୍ଯ୍ୟାମ୍ଭୁସିଗେବିଲ୍ ଆଶନ୍ । 1) ଲାଗୁତ ଅଳମାଶ୍ରେଣ୍ୟବେଳୀର୍ । 2) କିଲାମାଶ୍ରେ.
3) ଶାର୍କ୍ୟ । 4) ଗାଢିକ୍ଷେତ୍ରରୁଠିଲୀର୍, ତୁମ୍ଭାର୍ଯ୍ୟ ଗୁଲିର୍... ପ୍ରେଲଗାନ୍ ସାମ୍ରେ,
ସିଦ୍ଧାନ୍ତକ୍ଷେତ୍ରରୁଠିଲୀର୍!



დასერიალი საზოგადო უფლის უსახლის მუნიციპალიტეტი

„ნეკარული“

(წელიწადი მეთეთხმეტე)

ურნალი გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით
საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით
80060-ზღვანია და მოზღვილთათვის.

ურნალი გამოვა თვეში ერთჯერ მცირე-წლოვანთათვის—48
გვერდი და მოზრდილთათვის—64 გვერდი.

ფასი ურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა—55 მან. ნა-
ხევარი წლით—30 მან. ცალ-ცალკე: მცირე-წლოვანთათვის—30 გ.
მოზრდილთათვის—30 მან.

ფოსტის აღრესი: თბილისი, „ნაკადულის“ რედაქცია. ტელე-
ფონი 7—51.

რედაქციაში არის გასული წლის კომპლექტები.

ხელის მოწვევა მიმღება:

თბილისში—„ნაკადულის“ რედაქციაში, ზუბალაშვილის სახ-
ლი, გოლოვინის პროსპ. შემოსასელელი—დაეთის ქუჩიდან, № 2,
წერა-კითხვის გამარცელებელ საზოგადოების წიგნის მიღაწიაში, სა-
სახლის ქანა; ქუთაისში—ისიდორე კვიკარიძესთან, მ. კუჭხიშვილ-
თან, თ. მთავრიშვილთან და მატრინე მომცორიასთან; ფოთში—
ლუდმილე მეგრელიძესთან; ბათონში—ტროფიმ ინასარიძესთან—
ფოსტაში; თელავში—ვანო პაარაშვილთან; გორში—ქეთევან ჯავა-
ხიშვილთან და ნინო ლომიურთან; ჭიათურაში—ი. წერეთელთან;
ხონში—გ. ი. ჭავჭავაძესთან; ოზურგეთში—სალომე ხუნდაძესთან;
ლანჩხუთში—მასწავლებელ ჯულელთან.

რედაქტორი ნინო ნაკაშიძე,
გამომცემელი თ. პავლე იოსების ბერძნების თემატიკის მუნიციპალიტეტი.